მტკიცებულებითი სტანდარტი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად ოჯახური დანაშაულების საქმეებში დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში

მაგდა მარღია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლა, სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მაგდა მარღია,

25.06.2024

ანოტაცია

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022-23 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საგრძნობლად გაიზარდა ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. მიუხედავად აღნიშნულისა, რიგ შემთხვევებში მოსამართლეები საქმის განხილვას გამამართლებელი განაჩენის გამოტანით ასრულებენ, რაც მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, თუმცა ძირითადად, მიზეზი დაზარალებულთა მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმაა. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც ყველა კატეგორიის საქმეზე გამამართლებელი განაჩენების უდიდესი წილი, კერძოდ, 66% ოჯახურ დანაშაულებზე მოდის. წინამდებარე კვლევის მიზანია დადგინდეს, რა მტკიცებულებითი სტანდარტი მოქმედებს ოჯახური დანაშაულის საქმეებში და რამდენად რჩება საკმარისი მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე. კვლევის შედეგად ვლინდება საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებული ტენდენციები და მიდგომები და ასევე ცხადი ხდება, რომ თუკი დაზარალებული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, მოსამართლეს მაინც რჩება შესაძლებლობა გამამტყუნებელი განაჩენი დააყრდნოს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს. აღნიშნული სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილებით დასტურდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაზარალებული; გამამტყუნებელი განაჩენი; მტკიცებულებითი სტანდარტი; ოჯახური დანაშაულები; უარი ჩვენების მიცემაზე.

Aannotation

According to the statistical data of the General Prosecutor's Office of Georgia for 2022-23, the rate of criminal prosecution related to family crimes has increased significantly. In spite of the above, in some cases, the judges complete the consideration of the case by passing an acquittal verdict, which is due to many factors, but mainly the reason is the refusal of the victims to testify. This is confirmed by the statistical data of the general courts of Georgia, according to which the largest share of acquittals in all categories of cases, namely, 66%, is for family crimes. The purpose of the present study is to determine the evidentiary standard in domestic crime cases and to what extent there is sufficient evidence for a conviction when the victim refuses to testify. As a result of the research, trends and approaches in the practice of general courts are revealed, and it also becomes clear that if the victim refuses to testify, the judge still has the opportunity to base a guilty verdict on other evidence in the case. It is confirmed by a number of decisions of the mentioned courts.

Key words: victim; guilty verdict; evidentiary standard; family crimes; Refusal to testify.